# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 239

„ 22 " დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ფატი ხუნდაძის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „პ"ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს მეცნიერის, ფსიქოლოგ ფატი ხუნდაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_483215.5655
Y_ 4627016.1542
X_483211.2371
Y_ 4626801.1407
X_483176.7764
Y_ 4626802.621
I.R.
ვაჟა ხერგიანის ქუჩა
X_483150.1143
Y_ 4626551.2361